ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გია ბასილაძის 2024 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

.

მე, როგორც საკრებულოს წევრსა და ამავდროულად საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ანგარიშვალდებულება ამომრჩევლების წინაშე და საჯაროობის პრინციპის დაცვა, მავალდებულებს ყოველწლიური ანგარიში ჩაგაბაროთ გაწეული საქმიანობის შესახებ. კანონით ნაკისრი ეს ვალდებულება, საშუალებას გვაძლევს ამომრჩეველს მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ჩემი საკრებულოში საქმიანობის თაობაზე.

2021 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე ვარ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. ქალაქ ქუთაისის საკრებულოში არის ხუთი მუდმივმოქმედი კომისია, რომლებიც საკრებულოს ბიუროზე წარსადგენად სამუშაო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებს, განიხილავს და ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ საკრებულოს სხდომაზე სამართლებრივი აქტის სახეს იღებს, მუშავდება სწორედ კომისიების მიერ, საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და შესაბამისი კომისიის დებულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, თავიანთი სფეროების შესაბამისად.

თავად ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში ვანხორციელებ ჩემზე დაკისრებულ ვალდებულებებს და აქტიურ მონაწილეობას ვიღებ საკრებულოს კომისიების მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ჩემი მონაწილეობით ჩატარდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 13 სხდომა. მათზე განხილული იქნა 34 საკითხი. კომისიის მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტის განხილვის, დამტკიცებისა და დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ იმსჯელა შემდეგ საკითხებზე

1. 2023-2024 წლების ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობებსა და მათ მოსალოდნელ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობის შესახებ.
2. განიხილა და შეაფასა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები.

3. განხილულ იქნა ბიუჯეტის ოთხი ცვლილება. აქედან, 2023 წლის ბიუჯეტს შეეხო ორი ცვლილება, ასევე მიმდინარე წლის ბიუჯეტის მიმართ განხილულ იქნა ორი ცვლილება.
4. მოსმენილ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის და თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ანგარიშები.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას, საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქვს 15 სხდომა, სადაც განხილული იქნა 52 საკითხი, რომლებზეც მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები და შემუშავებულია დასკვნები. იურიდიულ საკითხთა კომისია აქტიურად არის ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში, მონაწილეობს საკრებულოში შემოსული პროექტების განხილვაში, ამზადებს შენიშვნებს, რეკომენდაციებს, დასკვნებს და შემდგომში მიღების მიზნით გადასცემს შესაბამის ორგანოებს.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი დადგენილების პროექტები, როგორიცაა:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ცვლილების პროექტი;
2. „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ცვლილების პროექტი, რომლის შედეგადაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უფასოდ მგზავრობის უფლებით სარგებლობენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სპეციალური სერვისების“ ის თანამშრომლები, რომლებიც ქალაქში სისუფთავის შენარჩუნებაზე ზრუნავენ.
3. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ცვლილების პროექტი, რომელიც საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ერთობლივ მონაწილეობას უზრუნველყოფს.

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების ცვლილების პროექტი, რომლის შედეგადაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შედეგად მიღებული შემოსავალი.
5. საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა კომისიამ მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის და თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ანგარიშები.

საანგარიშო პერიოდში რეგლამენტითა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩაატარა 12 რიგითი და 5 რიგგარეშე საკრებულოს სხდომა. საკრებულოს სხდომაზე გამოტანილი ყველა საკითხი, რომლის განხილვაშიც მივიღე მონაწილეობა იყო მნიშვნელოვანი და ჩემს მიერ მხარდაჭერილი.

როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი საანგარიშო პერიოდში დავესწარი უმრავლესობის ყველა სხდომას. ასევე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ 8 სხდომას , რომელზეც განხილული იქნა 14 საკითხი.

ფრაქციის სხდომებზე განხილული საკითხებიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის პროექტების მხარდაჭერა.

აღნიშნულ პერიოდში,როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა სოციალურ და საქველმოქმედო ღონისძიებაში. თითოეულ აქტივობაში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა მოსახლეობის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას, ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანების ხსოვნის პატივგებას, მომავალი თაობის მიერ მიღწეული წარმატებების წახალისებას. შეუძლებელია, აქ ყველა იმ ღონისძიებაზე დეტალურად ისაუბრო, რასაც საკრებულო ახორციელებს არაერთი შეჭირვებული თუ სხვადასხვა სფეროს ღვაწმოსილ ადამიანთა დაფასების, მორალური თანადგომისა და მხარდაჭერის გამოსახატავად.

- კერძოდ, ქ. ქუთაისის პირველ, მესამე, მეორე, მე-9, 23-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე, 36-ე და 41-ე საჯარო სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები გადაეცათ.

- 2023-2024 წლებში ერთიან ეროვნულ გამოცდებში 100%-იან გრანტის მფლობელ სტუდენტებს მადლობის სიგელები და ფულადი ჯილდო გადაეცათ. სტუდენტებმა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სრული სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვეს.

- ასევე გაიმართა წლის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოება.

ღონისძიებაზე ის სპორტსმენები, მწვრთნელები, გუნდები და კლუბები დაჯილდოვდნენ, რომლებსაც მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი სპორტული მიღწევები ჰქონდათ.

- ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. რეაბილიტაციის პროექტის მიხედვით, სამუსიკო სკოლაში განახლდა შენობის ფასადი, ინტერიერი, საკლასო ოთახები, საკონცერტო დარბაზი, საგამოფენო სივრცე (მუზეუმი), შეიცვალა გადახურვა, ელექტრო და წყალგაყვანილობის სისტემა. აღნიშნული სამუშაოებისთვის რეგიონული განვითარების ფონდიდან 1 341 758 ლარი გამოიყო.

- ქუთაისში საერთაშორისო სტანდარტების საჩოგბურთო ინფრასტრუქტურა მოეწყო. რეაბილიტაციის შედეგად 4 სათამაშო მოედანზე გაკეთდა ჰარდის ტიპის ეკოლოგიური საფარი, კაპიტალურად შეკეთდა ადმინისტრაციული შენობა და შეიცვალა განათების სისტემა. სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციაზე 2 255 711 ლარი დაიხარჯა.

- ქუთაისში, ავტოქარხნის ადმინისტრაციულ ერთეულში ხარებავას ქუჩაზე სპორტულ დარბაზს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, აღნიშნული სპორტული დარბაზის რეკონსტრუქცია რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით მოხდა და მისი ჯამური ღირებულება 635 165 ლარს შეადგენს.

- ასევე ჩატარდა სხვადასხვა სახეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების, კერძოდ მინი სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.
- ნარჩენების მართვის ტექნოლოგიების და მყარი ნარჩენების გატანის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 90-მდე, 10 და 16-კუბიანი „ივეკოს“ ფირმის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამზიდი ავტომობილი იქნა შეძენილი.ახალი ავტომობილები ქუთაისსა და რამდენიმე მუნიციპალიტეტში გადანაწილდა.აღნიშნული ავტომობილების შესყიდვა, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მოხდა და საერთო ღირებულება 33 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.

როგორც საკრებულოს წევრს მაქვს ყოველდღიური შეხვედრები მოსახლეობასთან. საანგარიშო პერიოდში ჩემთან მიღებაზე იმყოფებოდა 281 მოქალაქე, მათი თხოვნები, ძირითადად ეხება საყოფაცხოვრებო და მატერიალურ საკითხებს. ვისმენ მოქალაქეთა პრობლემებს და უფლებამოსილების ფარგლებში, მივმართავ შესაბამის ორგანოებს მათ გადასაჭრელად.

ჩემს ანგარიშში ყურადღება გავამახვილე, კონკრეტულად იმ საკითებზე და პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტაში აქტიურად ვმონაწილეობდი და მივიღეთ დადებითი შედეგი. ყოველივე ამას, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქალაქისათვის.

ნდობის მაღალი მანდატი, რომელიც განპირობებულია საზოგადოებისა და საკრებულოს წევრების მხრიდან, ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას საქმისა და თითოეული ამომრჩევლის წინაშე. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულებაც გამოცხადებული ნდობის გამართლებაა.

ვიმედოვნებ, რომ მომავალ წელსაც ასეთი აქტიური და ნაყოფიერი სამუშაო წელი იქნება და კიდევ ბევრ კარგ პროექტსა თუ ინიციატივას ჩავუყრით საფუძველს, ჩვენი ქალაქისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი

მოადგილე

გია ბასილაძე